სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

სხდომის თარიღი: 14 ივლისი, 2023
ადგილმდებარეობა: თბილისი, თინათინ ვირსალაძის I ჩიხი, N1

სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), თორნიკე ბაქრაძე, ია გაბედავა, როინ მიგრიაული. დისტანციურად (ZOOM პლატფორმის გამოყენებით): მარიამ კუბლაშვილი, ტარიელ კაკაბაძე, ციცინო ცხვედიანი, ნათია კორკოტაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

თამთა გელაშვილის, ეთერ კუტიბაშვილის და გიორგი ებანოიძის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თამთა გელაშვილის, ეთერ კუტიბაშვილის და გიორგი ებანოიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.**

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

მარიამ ვარდოსანიძის, ნადეჟდა ბეგიაშვილის, გიორგი ჩხაიძის, ეკატერინე ოსაძის, ოთარ გიორგაძის, როლანდ კიტიას, სალომე ჯანაძის და ალექსანდრე კოხიას განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს მარიამ ვარდოსანიძის, ნადეჟდა ბეგიაშვილის, გიორგი ჩხაიძის, ეკატერინე ოსაძის, ოთარ გიორგაძის, როლანდ კიტიას, სალომე ჯანაძის და ალექსანდრე კოხიას მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ ანა მიქავას, რუსუდან თოიძის, ნინო ჩიხრაძის, ტარიელ ბალაბანიშვილის და ჯემალ გელოვანის განცხადებებს “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ანა მიქავას, რუსუდან თოიძის, ნინო ჩიხრაძის, ტარიელ ბალაბანიშვილის და ჯემალ გელოვანის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

საკითხი 4. 2023 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების განხილვა.

აღმასრულებელმა მდივანმა საბჭოს წევრებს გააცნო ადვოკატთა ასოციაციის 2023 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები.

წევრები გაეცნენ სხდომაზე წარმოდგენილ ცვლილებებს. დაისვა კითხვები და გაცემულ იქნა პასუხები.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ადვოკატთა ასოციაციის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში შევიდეს ცვლილება, სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი N1).

საკითხი 5. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციალიზაციის დებულებაში შესატანი ცვლილებების განხილვა და დამტკიცება.

აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს გააცნო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციალიზაციის დებულებაში შესატანი ცვლილებები. სხდომაზე წარმოდგენილი ცვლილებები დეტალურად იქნა განხილული წევრების მიერ. დაისვა კითხვები და გაცემულ იქნა ამომწურავი პასუხები წარმოდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციალიზაციის დებულებაში შესატანი ცვლილებები, სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი N2).

საკითხი 6. ბავშვის უფლებების დაცვის სპეციალიზაციის დებულებაში შესატანი ცვლილებების განხილვა და დამტკიცება.

აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს ასევე გააცნო ბავშვის უფლებების დაცვის სპეციალიზაციის დებულებაში შესატანი ცვლილებები. სხდომაზე წარმოდგენილი ცვლილებები დეტალურად იქნა განხილული წევრების მიერ. დაისვა კითხვები და გაცემულ იქნა ამომწურავი პასუხები წარმოდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ბავშვის უფლებების დაცვის სპეციალიზაციის დებულებაში შესატანი ცვლილებები, სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი N3).

საკითხი 7. თამარ პაპაშვილის, ნინო სამხარაულის, გიორგი წიკლაურის, მარიამ დურგლიშვილის და ნიკოლოზ ფხალაძის განცხადებების განხილვა ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

წევრები გაეცნენ თამარ პაპაშვილის, ნინო სამხარაულის, გიორგი წიკლაურის, მარიამ დურგლიშვილის და ნიკოლოზ ფხალაძის განცხადებებს ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: (ა) დაკმაყოფილდეს თამარ პაპაშვილის, ნინო სამხარაულის, გიორგი წიკლაურის, მარიამ დურგლიშვილის და ნიკოლოზ ფხალაძის განცხადებები ადვოკატთა ასოციაციის ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნეს თამარ პაპაშვილის, ნინო სამხარაულის, გიორგი წიკლაურის, მარიამ დურგლიშვილის და ნიკოლოზ ფხალაძის კანდიდატურები ადვოკატთა ასოციაციის ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტის წევრად.

(ბ) გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს ანალიტიკური და საკომიტეტო საქმიანობის დეპარტამენტის უფროსს.

საკითხი 8. გელა ბერიაშვილის და მარიამ გელენიძის განცხადებების განხილვა სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლასთან დაკავშირებით.

წევრებმა განაცხადეს, რომ ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანახმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე და შეცვალოს სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: (ა) დაკმაყოფილდეს გელა ბერიაშვილის და მარიამ გელენიძის განცხადებები.

(ბ) გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ განმცხადებლებს.

(გ) გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 9. საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების და წევრობის აღდგენის განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) ქეთევან შონიას განცხადებას, რომლითაც მოთხოვნილია საწევრო დავალიანების გადახდისაგან გათავისუფლება და წევრობის აღდგენა.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ქეთევან შონიას აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 02 ივლისის გადაწყვეტილებით შეუწყდა წევრობა 2017-2018-2019 წლის საწევრო დავალიანების გამო. შესაბამისად, ქეთევან შონიას საწევრო დავალიანება შეადგენს 600 (ექვსასი) ლარს.

წევრებმა განაცხადეს, რომ სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს ქეთევან შონიას განცხადებაში მითითებული მოთხოვნის - საწევრო დავალიანების გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო, არ დაკმაყოფილდეს ქეთევან შონიას განცხადება 2017, 2018 და 2019 წლების საწევრო დავალიანების გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ.

(ბ) გელა შავიძის განცხადებას. განმცხადებლის განმარტებით მას აქვს მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობა და ამჟამად მკურნალობის კურსს გადის საფრანგეთში. განმცხადებელი ასევე, განმარტავს, რომ ამ ეტაპისთვის ვერ შეძლებს საწევრო დავალიანების გადახდას და ითხოვს საწევრო დავალიანების გადახდისაგან გათავისუფლებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ გელა შავიძეს აღმასრულებელი საბჭოს 2023 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით შეუწყდა წევრობა 3 (სამი) წლის საწევრო დავალიანების გამო. შესაბამისად, გელა შავიძის საწევრო დავალიანება შეადგენს 600 (ექვსასი) ლარს.

წევრებმა განაცხადეს, რომ სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს გელა შავიძის განცხადებაში მითითებული მოთხოვნის - საწევრო დავალიანების გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო, არ დაკმაყოფილდეს გელა შავიძის განცხადება 2021, 2022 და 2023 წლების საწევრო დავალიანების გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ.

(გ) ივანე იორამაშვილის განცხადებას. განმცხადებლის განმარტებით მას აქვს გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობა, რის გამოც არ განუხორციელებია საადვოკატო საქმიანობა და ითხოვს 2021 და 2022 წლების საწევრო დავალიანების გადახდისაგან გათავისუფლებას და 2023 წლის საწევრო დავალიანების გადავადებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ივანე იორამაშვილს აღმასრულებელი საბჭოს 2023 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით შეუწყდა წევრობა 3 (სამი) წლის საწევრო დავალიანების გამო. შესაბამისად, ივანე იორამაშვილის საწევრო დავალიანება შეადგენს 600 (ექვსასი) ლარს.

წევრებმა განაცხადეს, რომ სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს ივანე იორამაშვილის განცხადებაში მითითებული მოთხოვნის - საწევრო დავალიანების გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო, არ დაკმაყოფილდეს ივანე იორამაშვილის განცხადება საწევრო დავალიანების გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ.

(დ) ბესიკ ღვინჯილიას განცხადებას, რომელსაც აღმასრულებელი საბჭოს 2023 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით შეუწყდა წევრობა 3 (სამი) წლის საწევრო დავალიანების გამო. შესაბამისად, ბესიკ ღვინჯილიას საწევრო დავალიანება შეადგენს 600 (ექვსასი) ლარს.

განმცხადებლის განმარტებით იგი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს რეგიონში - რუსთავში, მაგრამ ამ დრომდე არ მოუმართავს საწევრო შეღავათის გავრცელების მოთხოვნით. შესაბამისად, ითხოვდა საწევრო შეღავათის გავრცელებას საწევრო დავალიანებაზე.

წევრებმა განაცხადეს, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 31 იანვარის გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 1-ლი თებერვლის, 2007 წლის 31 მაისის, 2010 წლის 19 მაისის, 2010 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებებში და განისაზღვრა ასოციაციის იმ წევრების შერჩევის ერთიანი კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ადვოკატები ისარგებლებენ საწევრო შეღავათებით, შესაბამისად ბესიკ ღვინჯილიას განცხადება ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: 1. დაკმაყოფილდეს ბესიკ ღვინჯილიას განცხადება.

2. მიღებული გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს ფინანსურ მენეჯერს.

(ე) ლევან ხელაიას განცხადებას, რომელსაც აღმასრულებელი საბჭოს 2023 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით შეუწყდა წევრობა საწევრო დავალიანების გამო. შესაბამისად, ლევან ხელაიას საწევრო დავალიანება შეადგენს 100 (ასი) ლარს.

განმცხადებლის განმარტებით, მას ჩაუტარდა ოპერაცია, რამაც გავლენა იქონია მის პროფესიულ საქმიანობაზე და შესაბამისად, შემოსავალზე. ლევან ხელაია საადვოკატო

საქმიანობას ახორციელებს რეგიონში, ამასთანავე, მას წარმოდგენილი აქვს შშმ პირის დამადასტურებელი დოკუმენტი. წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე განმცხადებელი ითხოვს საწევრო დავალიანების ვალდებულებისგან გათავისუფლებას ან საწევრო შეღავათის გავრცელებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 31 იანვარის გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 1-ლი თებერვლის, 2007 წლის 31 მაისის, 2010 წლის 19 მაისის, 2010 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებებში და განისაზღვრა ასოციაციის იმ წევრების შერჩევის ერთიანი კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ადვოკატები ისარგებლებენ საწევრო შეღავათებით. ადვოკატი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს რეგიონში და ამასთანავე არის შშმ პირი, მასზე ვრცელდება 75% საწევრო შეღავათი. შესაბამისად ლევან ხელაიას განცხადება ექვემდებარება ნაწილობრივ დაკმაყოფილებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: 1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს ლევან ხელაიას განცხადება.

2. ლევან ხელაიაზე, წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე, გავრცელდეს 75%-იანი საწევრო შეღავათი.

3. მიღებული გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს ფინანსურ მენეჯერს.

საკითხი 10. პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ლაშა არველაძის, ბექა ბასილაიას, თამილა გაბაიძის და ნატალია მერაბიშვილის განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად ლაშა არველაძის, ბექა ბასილაიას, თამილა გაბაიძის და ნატალია მერაბიშვილის კანდიდატურები.

(ბ) გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 11. კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ საკითხის განხილვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2023 წლის 16 ივნისის განაჩენს, რომლის თანახმადაც ზვიად არძენაძეს ჩამოერთვა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება 5 (ხუთი) წლის ვადით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზვიად არძენაძე 2008 წლიდან ირიცხება ადვოკატთა ასოციაციაციის მოქმედ წევრთა ერთიან სიაში.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ცნობად იქნას მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2023 წლის 16 ივნისის კანონიერ ძალაში შესული განაჩენი და ზვიად არძენაძეს (სიითი N 3781) 5 (ხუთი) წლის ვადით ჩამოერთვას საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება.

(ბ) თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 23 ივნისის განაჩენს, რომლის თანახმადაც შორენა ხარჩილავა ცნობილ იქნა დამნაშავედ განზრახ მძიმე დანაშაულის ჩადენაში.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ შორენა ხარჩილავა 2006 წლიდან ირიცხება ადვოკატთა ასოციაციაციის მოქმედ წევრთა ერთიან სიაში.

წევრებმა განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, „ადვოკატი არ შეიძლება იყოს განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი, თუ ნასამართლობა არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. ამავე კანონის 21^3 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატს წევრობა შეუწყდება თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი განზრახი მძიმე დანაშაულისათვის.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ცნობად იქნას მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 23 ივნისის კანონიერ ძალაში შესული განაჩენი და შორენა ხარჩილავას (სიითი N 1194) შეუწყდეს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა.

საკითხი 12. სხვადასხვა

წევრები გაეცნენ:

(ა) ზურაბ კალაძის, თეონა გომარელის, სოფიკო სონღულაშვილის და ნინო ხუბულიას განცხადებებს პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის საფასურის გადავადებაზე.

განმცხადებლები აღნიშნავდნენ, რომ ამ ეტაპზე ვერ ახერხებდნენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დარჩენილი საფასურის გადახდას და ითხოვდნენ დარჩენილი საფასურის გადავადებას სხვადასხვა ვადით.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ზურაბ კალაძის, თეონა გომარელის, სოფიკო სონღულაშვილის და ნინო ხუბულიას განცხადებები და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დარჩენილი საფასურის გადახდა გადაუვადდეთ განცხადებაში მითითებულ თარიღამდე, მაგრამ არაუგვიანეს თეორიული კურსის დასრულებამდე.

(ბ) ლოლა ტუსაშვილის, მანონი ნანავას და გიორგი ქოიავას გარდაცვალების ფაქტის ცნობად მიღება.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ადვოკატთა ასოციაციის ადმინისტრაციას მიაწოდეს ინფორმაცია ასოციაციის წევრების გიორგი ქოიავას, ლოლა ტუსაშვილის და მანონი ნანავას გარდაცვალების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, აღმასრულებელი საბჭო „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 21^3 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ცნობად იღებს ადვოკატის გარდაცვალების ფაქტს და მას შეუწყდება ადვოკატთა ასოციაციის წევრობა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ცნობად იქნეს მიღებული ლოლა ტუსაშვილის, მანონი ნანავას და გიორგი ქოიავას გარდაცვალების ფაქტი და ამოღებულ იქნეს მოქმედ წევრთა ერთიანი სიიდან.

(გ) ნოდარ ციხელაშვილის, თეიმურაზ დიდებაშვილის და ლევან დუაძის განცხადებები სავალდებულო კრედიტებისგან გათავისუფლების შესახებ.

წევრები გაეცნენ ნოდარ ციხელაშვილის, თეიმურაზ დიდებაშვილის და ლევან დუაძის განცხადებებს, რომლებიც ითხოვენ სავალდებულო კრედით-საათებისგან გათავისუფლებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ განგრძობადი იურიდიული განათლების წესები ითვალისწინებს შეღავათს წევრებზე, რომლებიც განცხადებით მომართვის შემთხვევაში, აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია გათავისუფლდნენ სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვების ვალდებულებისგან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნოდარ ციხელაშვილის, თეიმურაზ დიდებაშვილის და ლევან დუაძის განცხადებები.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთაასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე